

ლუიზა დე ვილმორენის რომანი „მადამ დე...“ და მისი ორი კინოადაპტაციის კომპარატივისტული ანალიზი

მანანა პაიჭაძე

საკვანძო სიტყვები: ლუიზა დე ვილმორენი, მადამ დე... მაქს ოფიულსი, ჟან-დანიელ ვერჰაკი

ფრანგული ლიტერატურა, სხვა ღირსებების გარდა, იმითაც არის გამორჩეული, რომ ევროპულ ლიტერატურაში ალბათ ყველაზე მეტი ქალი ავტორი ჰყავს. ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე 100-ამდე ავტორის დასახელება შეიძლება. და ამ ასეულში შედის ფრანგი მწერალი ქალი ლუიზა დე ვილმორენიც.

ლუიზა დე ვილმორენის (1902-1969) ცხოვრება და შემოქმედება ძალზე საინტერესოა. მწერლობისკენ უბიძგა შარლ დე გოლის მთავრობის კულტურის მინისტრმა, ანდრე მალრომ, რომელთანაც დე ვილმორენს ახლო ურთიერთობა ჰქონდა. გრაფის ქალი ლუიზა, „ლულუ“, ლევკ დე ვილმორენი საფრანგეთის მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენელი იყო. ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის საცოლუ (ნიშნობა დე ვილმორენმა გააუქმა), შემდგომ ორჯერ გათხოვილი, სამი ქალიშვილის დედა, 1938 წლიდან საგვარეულო მამულში - შატო დე ვილმორენიში დასახლდა. სასახლის „ლურჯ სალონი“ (Salon bleu) მომხიბლავი მასპინძლის გარშემო იკრიბებოდა ლიტერატორთა და ხელოვანთა ელიტა - ჟან კოკტო, ანდრე მალრო, ალენ კიუნი, პიერ ბერჟე, რენე კლერი, მარია კალასი, ფრანსუაზა საგანი, მაქს ოფიულსი, კოკო შანელი, როლან პეტი, ზიზი ჟანმერი, ორსონ უელსი და მრავალი სხვა.

ინტელიგენტი, ლამაზი, ელევანტური, ესთეტი - ამ სიტყვების სრული გაგებით - ასეთია ამ არაჩვეულებრივი ქალბატონის მოკლე დახასიათება.

ლუიზა დე ვილმორენი რომანების, ნოველების, ლექსების, რეპორტაჟების, ესეების, კინოსცენარების ავტორია. ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მწერლის ეპისტოლარული ნიჭი - ცალკე წიგნებადაა

გამოცემული მისი მიმოწერა ჟან კოკტოსთან, ანდრე მალროსთან და სხვ.

ფრანსიმ პულენკმა არა ერთი შანსონი დაწერა ლუიზა დე ვილმორენის ლექსების ტექსტებზე. იგი იყო რეჟისორების - ჟან ტიურანის, ლუი მალის, პიერ-გრანდე დეფერის, ორსონ უელსის ფილმების სცენარის ავტორი. გადაღებულია ორ ფილმში - „ამელი ანუ სიყვარულის დრო“ (რეჟისორი მიშელ დრახი, / Amelie ou le Temps d'aimer, Regie: Michel Drach, Frankreich 1961); „ემამაკმა დალახვროს“ (რეჟისორი ჟორჟ ფოლოგოლა/Teuf-teuf, Regie: Georges Folgoas, Frankreich, 1963).

ლუიზა დე ვილმორენის პირველი რომანი „სენტ-უნეფუა“, გამოქვეყნდა 1934 წელს, გალიმარის გამომცემლობაში - Sainte-Unefois, Paris: Gallimard, 1934.

აღსანიშნავია მისი შემდეგი თხზულებებიც: „ვილავიდის დასასრული“ (La Fin des Villavide. Paris, Gallimard, 1937); „ბალდახინიანი საწოლი“ (Le Lit à colonnes. Paris, Gallimard, 1941); „ერიკას დაბრუნება“ (Le retour d'Erica. Paris-Lausanne, Éditions Marguerat, 1946); „ჟიულიეტა“ (Julietta. Paris, Gallimard, 1951); „მადამ დე...“ (Madame de. Paris, Gallimard, 1951); „ლამაზი სასიყვარულო ამბები“ (Les Belles Amours. Paris, Gallimard, 1954); „ერთი სიყვარულის ამბავი“ (Histoire d'aimer. Paris, Gallimard, 1955); „წერილი ტაქსიში“ (La Lettre dans un taxi. Paris, Gallimard, 1958); „მაკიკი“ (Migraine. Paris, Gallimard, 1959); „ვიოლინო კრემონადან“ (Le Violon de Crémone. Paris, Gallimard, 1960); „ავისმომასწავებელი საათი“ (L'Heure Maliciöse. Paris, Gallimard, 1967); „ველური ჭინკა“ (Le Lutin sauvage. Paris, Gallimard, 1971).

ბოლო ხანებში ევროპასა, და პირველ რიგში,

საფრანგეთში, გაჩნდა ინტერესი ამ მწერალი ქალის ლიტერატურული და ეპისტოლარული შემოქმედების კვლევის მიმართ, მაგრამ სერიოზული ნაშრომები ჯერ არ დაწერილა.¹

და მაინც, ლუიზა დე ვილმორენის მხატვრულ პროზაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს რომანი „მადამ დე...“. 1951 წელს დაწერილი და გამოქვეყნებული ეს ნაწარმოები ავტორის შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდს უკავშირდება. ნარატოლოგიური კუთხით თუ შეაფასებთ, საქმე გვაქვს თხრობის დახვეწილ სტილთან, ლაკონიურობასთან, რომელიც ბევრის მოქმედია, პერსონაჟების ინტერტექსტუალურ დახასიათებასთან, ავტორისეული თხრობით შიდა მონოლოგების გადაფარვის ტექნიკასთან.

რომანის სიუჟეტი თითქოს ბანალურია, მაგრამ ამ მოჩვენებითი ბანალურობის მიღმა დიდი დრამა იკითხება. სამი პერსონაჟი (საკუთარი სახელების გარეშე) - არისტოკრატი ლამაზი ახალგაზრდა კოკეტი ქალბატონი - მადამ დე, მისი მეუღლე - ცნობილი ფრანგი გენერალი, და მადამ დეს საყვარელი - დიპლომატიურ წრეებში კარგად ცნობილი ელჩი. ერთი შეხედვით - სასიყვარულო სამკუთხედი. მოქმედების ადგილი და დრო დაკონკრეტებული არ არის. სავარაუდოდ იკითხება fin de siècle-ის ეპოქა.

ტექსტი იწყება მინაწერით - ერთგვარი ეპიგრაფით - „საუკუნეების განმავლობაში, სიყვარული მოვლენებს, რომლებსაც ეხება, ანიჭებს განცდას, რომ ისინი რეალურად არსებობენ და უშუალოდ გვხვებიან“.² აქ საკვანძო სიტყვა „სიყვარულია“, რომლის სრული დეფიციტის ფონზე იშლება სიუჟეტი და რომლის გაჩენისთანავე, ყოველდღიური ბანალური ცხოვრება და ადამიანებს შორის ურთიერთობა იქცევა დრამად, რომელიც ტრაგედიის მასშტაბებსაც კი აღწევს.

თხრობა იწყება იმით, რომ ავტორი გვიამბობს პარიზის მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული ლამაზი და ელეგანტური ქალბატონის განსაკუთრებული თვისების შესახებ: მადამ დე თავქარიანობის გამო ვალებში გაეხვა, რადგან მუდამ ერიდებოდა ქმრისთვის ეთქვა შეძენი-

ლი ნივთების ნამდვილი ღირებულება და მხოლოდ თანხის ნახევარს უსახელებდა. ამ საქციელის გამო, ვალები დაუგროვდა. ამიტომ რაიმე ნივთის გაყიდვა გადაწყვიტა. მისი ყურადღება გულის ფორმის ბრილიანტის საყურეებზე შეჩერდა.

საყურეების „მოგზაურობის“ ისტორია-სქემა:

- გენერალი ყიდულობს საყურეებს იუველირისგან, რომ სიყვარულის ნიშნად, მადამ დეს ქორწილის მეორე დღეს აჩუქოს (ეს ძველი ტრადიციაა, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში დავიწყებას მიეცა);
- მადამ დე, ვალების დასაფარად, საყურეებს მიჰყიდის იუველირს და სთხოვს, რომ გენერალს არაფერი უთხრას. შემდეგ მეჯლისზე გაითამაშებს სცენას, თითქოს საყურეები დაკარგა. ამბავი გახმაურდება.
- როდესაც იუველირი საყურეების მოპარვას გაიგებს, დაუკავშირდება გენერალს, რომელიც საყურეებს თავიდან იყიდის. ოღონდ მადამ დეს კი არ დაუბრუნებს, არამედ, თავის საყვარელს - ახალგაზრდა ესპანელ ქალბატონს - დაცილებს ნიშნად, გამოსათხოვარ საჩუქარს გაუკეთებს.
- საყვარელი ტოვებს საფრანგეთს და მიემგზავრება სამხრეთ ამერიკაში, სადაც კაზინოში წაგებული თანხის გადასახდელად, საყურეებს საიუველირო მაღაზიას მიჰყიდის.
- მაღაზიის ვიტრინაში მათი გამოფენიდან ერთი საათის შემდეგ, საყურეებს ერთი ახალგაზრდა დიპლომატი შეიძენს, რომელიც საფრანგეთში მიემგზავრება, სადაც თავისი ქვეყნის საელჩოს მთავარ წარმომადგენლად დაინიშნა.
- პირველივე ოფიციალურ წვეულებაზე ის გაიცნობს მადამ დეს და ორივეს ერთმანეთის მიმართ გრძნობა უჩნდება. გრძნობა თანდათან ღვივდება და ბოლოს დიპლომატი მადამ დეს, სიყვარულის ნიშნად, სამხრეთ ამერიკაში შემთხვევით შეძენილ საყურეებს ჩუქნის.
- მადამ დე ისევ ტყუილს მიმართავს, გაითამაშებს სცენას და საყურეებს, სადაც ხელთათმანების ყუთში მიმალულად აცხადებს.

1 Jean Bothorel: Louise, ou la Vie de Louise de Vilmorin. Grasset, 1989. Albertine Gentou: La Muse amusée. Le Manuscrit, 1998. ; André de Vilmorin: Louise de Vilmorin. Seuil, 2000. Patrick Mauriès: Louise de Vilmorin, un album. Le Promeneur, 2002. Françoise Wagener: Je suis née inconsolable. Louise de Vilmorin (1902–1969). Albin Michel, 2008.

2 Vilmorin, Madame de, 2011, p. 9.

- გენერალმა მოზაიკის სურათები ააწყო და დიპლომატი დაიბარა, რომელსაც საყურეების ისტორია უამბო. სთხოვა დიპლომატს, საყურეები მის იუველირთან წაეღო და მიეყიდა. დიპლომატი ასეც მოიქცა. მან მადამ დეს მიმართ პატივისცემა და სიყვარული დაკარგა.
- იუველირმა კვლავ გენერალს მიმართა და საყურეები მიჰყიდა.
- გენერალმა საყურეები მადამ დეს უჩვენა და მათი ტარება აუკრძალა. მეტიც, თავისი ძმის რძლისთვის ჩუქება აიძულა, რომელმაც გვარის გამგრძელებელი გააჩინა.
- მადამ დე დეპრესიაშია, სახლიდან არ გადის, წევს და სანთელივით ქრება. გენერალი მიხვდა, რომ ის ნამდვილი სიყვარულის მსხვერპლია.
- ერთი თვის შემდეგ მადამ დეს ქმრის რძალი ესტუმრა, რომელმაც ოჯახის ფინანსური პრობლემების გამო, საყურეების ყიდვა სთხოვა. მადამ დემ ის თავის იუველირთან გააგზავნა.
- იუველირმა კვლავ შეიძინა საყურეები. და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, კვლავ გენერალს მიჰყიდა.
- გენერალმა საყურეები მადამ დეს უჩვენა. მათი ტარება და გარეთ გასვლა მოსთხოვა. ქალი უარზე იყო. ფიზიკურად დასუსტებული, ქმარს მხოლოდ იმას სთხოვდა, რომ საყურეები მისთვის, სიყვარულის სამახსოვროდ დაეტოვებინა.
- „საყურეები მისთვის იყო არსი მისი სიყვარულისა და იმ ნამდვილი კოცნისა, რაც კი მას ოდესმე სიცოცხლეში განუცდია“.³
- გენერალი კი მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდა – დიპლომატს საყურეები მადამ დეზე უნდა დაენახა, რომლებიც მისთვის მხოლოდ ქმარს შეიძლებოდა ეჩუქებინა.
- ერთი თვის შემდეგ სრულიად დასუსტებული მადამ დე მეუღლესთან ერთად გამოჩნდა ერთ მიღებაზე, საყურეები მის ყურებზე ბრწყინავდა. დიპლომატმა მისი გამოჩენა და ღიმილი არასწორად გაიგო. ჩათვალა, რომ მადამ დემ მისი დავიწყება გადაწყვიტა და ქედმაღლურად ამიტომ იღიმებოდა. სინამდვილეში, ქალმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა, რომ ქმრის მოთხოვნა შეესრულებინა

და კიდევ ერთხელ ეხილა თავისი შეყვარებული. სახლში მობრუნებული, საწოლში ჩაწვა. წერილი მისწერა დიპლომატს, სთხოვა, მისულიყო, რათა სიმართლე აეხსნა. შემდეგ ღამე, თოვლსა და სიცივეში გარეთ გავიდა და წერილი დიპლომატის სახლთან მიიტანა. კარს დიდხანს არავინ უღებდა. შემდეგ მსახურმა გააღო, წერილი გამოართვა და კარიც ცხვირწინ მიუხურა. მეორე დღეს მადამ დე სიკვდილს ებრძოდა. დიპლომატი მასთან მივიდა, როდესაც გენერალმა ოთახში შეიყვანა, მადამ დე უკანასკნელად წამოიწია საწოლში, ამოიოხრა და სული განუტევა. ხელები გაეშალა და გამოჩნდა საყურეები, თითქოს ორივე გულის გაჩუქება სურდა.

- გენერალმა ბრძანა: „ის გარდაიცვალა. აიღეთ ერთი გული, რომელსაც თქვენ გაწვდით, მეორე კი მისია, მას ეკუთვნის, ამაზე მე ვიზრუნებ“.⁴

რომანი დაწერილია არაჩვეულებრივად არასტანდარტული, ლაკონური სტილით, როგორც კინოსცენარი. ეს იმ პერიოდში ევროპული ლიტერატურისთვის სიახლე იყო. უფრო ახასიათებდა ჰოლივუდში მომუშავე ამერიკელ მწერლებს (მაგალითად, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი) და ამ სტილმა, ამ საოცარი ოსტატობით ჩახლართულმა სიუჟეტმა, რომელშიც მოქმედების მოქნილი მოძრაობა გრძელი დახვეული კიბის ასოციაციას ტოვებს, მოხიბლა და მიიზიდა კინორეჟისორები.

ლუიზა და ვილმორენის რომანის ორი კინოდაპტაცია არსებობს – 1953 წელს მაქს ოფიულსმა გადაიღო ფილმი, იმავე სახელწოდებით, „მადამ დე...“. ფილმში თამაშობდნენ – დანიელ დარიე, შარლ ბუაიე, ვიტორიო დე სიკა. მეორე კინოდაპტაცია 2001 წელს შექმნა რეჟისორმა ჟან-დანიელ ვერჰაკმა – მთავარ როლებში: კაროლ ბუკე, ჟან-პიერ მარიელი, რაულ ბოვა. საგულისხმოა, რომ IMDb (Internet Movie Database) 1953 წლის ფილმს აფასებს – 10-იდან 8,0 ქულით, რაც საკმაოდ მაღალი შეფასებაა. 2001 წლის ფილმს კი – 7,1 ქულით.

მაქს ოფიულსი ფრანგული საავტორო კინოს ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. ფრანსუა

³ Vilmorin, დასახელებული რომანი. p. 116.

⁴ Ibid, p. 124.

ტრიუფო აღნიშნავდა, რომ მისი კინემატოგრაფისტ-ვის დამახასიათებელია სამყაროს მეღანქოლიური აღქმა, ისევე, როგორც რენე კლერისთვის - ირონია, ხოლო კლიუზოსთვის - სისასტიკე.

25 წლის განმავლობაში მაქს ოფიულსმა გადაიღო 26 მხატვრული ფილმი. ყველა მათგანს აერთიანებს (სხვა ღირსებების გარდა), შემქმნელი მეტრის განუმეორებელი სტილი. სწორედ ამ გარემოებას უთვლიდა მაქს ოფიულსს დიდ პლუსად, ცნობილი ფრანგი კინოკრიტიკოსი პიერ ლეპრონი.⁵

ჟურნალში Cahiers du Cinéma (1951) რეჟისორმა ჟაკ ბეკერმა მაქს ოფიულსის შესახებ დაწერა: „კრიტიკა არ პატიობს მას „კარუსელის“ წარმატებას... ფილმის „სიმსუბუქე“ თემითაა განპირობებული - „კარუსელი“ ხომ სიყვარულის კარუსელია...“⁶

შტეფან ცვაიგის, არტურ შნიცლერის, გი დე მოპასანის უბადლო ადაპტატორმა - მაქს ოფიულსმა ფილმში დააკონკრეტა მოქმედების დრო და ადგილი, ყველა პერსონაჟს სახელი მისცა - ლუბა, ანდრე, ფაბრიციო... ადგილი - პარიზი, დრო 1880-იანი წლები.

ოფიულსმა შექმნა კინორომანი, სპეციფიკური ინტონაციითა და სიუჟეტური ხაზის განვითარებით, რაც დამახასიათებელია fin de siècle -ის ეპოქისთვის. ვალსირების სცენები, დუელი, სცენა ეტლში (რაც გარკვეულწილად, ლევ ტოლსტოის „ანა კარენინას“ ალუზიას იწვევს მაყურებელში), არაჩვეულებრივი კოსტიუმები, რომელთა შემქმნელები - ჟორჟ ანენკოვი და როზინ დელამარი - „ოსკარზე“ იყვნენ ნომინირებულები.

მაქს ოფიულსი ასე წერს ფილმის მთავარი მოქმედი გმირის შესახებ: „ეს არის ქალი ამ სიტყვის სრული გაგებით. დაქორწინდა გარიგებით, არცთუ უბედურია, მაგრამ ცხოვრობს ბრწყინვალე, ფუფუნებით სავსე ცხოვრებით, რომელიც მოკლებულია ღრმა აზრს, ვერც კი ამჩნევს, რომ ამის გამო იტანჯება და ითრგუნება. მისი გული გვიან გაიღვიძებს ჭეშმარიტი სიყვარულისთვის, მაგრამ ის არ არის მზად ამ სასიყვარულო თავგადასავლისთვის, რადგან სიყვარული მუდამ გულისხმობს წინააღმდეგობის გადალახვას. ცხოვრებამ კი ის ამისათვის არ შეამზადა...“⁷

ჟან-დანიელ ვერჰაკი ის რეჟისორია, რომელიც,

პირველ რიგში, ლიტერატურული ტექსტის ადაპტაციებზე მუშაობს. საკმარისია დავასახელოთ, თუნდაც, მისი გადაღებული, ონორე ბალზაკის „მამა გორიო“, შარლ აზნავურით, „ეჟენი გრანდე“, „ჰერცოგის ქალი დე ლანჟე“, სტენდალის „წითელი და შავი“, როჟე მარტენ დიუ გარის „ტიბოს ოჯახი“ და მრავალი სხვა.

დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ „მადამ დეს“ პირველი და გენიალური კინოადაპტაციის გამოსვლიდან, ჟან-დანიელ ვერჰაკი ნაწარმოების თავისებურ ვერსიას ქმნის. მთავარ როლებში - კაროლ ბუკე, ჟან-პიერ მარიელი, რაულ ბოვა.

რეჟისორმა დააკონკრეტა მოქმედების ადგილი - პარიზი და ვიში, მოქმედების დრო - 1932 წელი, პერსონაჟები კვლავ სახელების გარეშე დატოვა, ერთის გამოკლებით - მხოლოდ დიპლომატს დარქვა ვიტორიო (რაც ერთგვარი ალუზიაა როგორც გამარჯვებულ გმირზე, ასევე როლის პირველ შემსრულებელ ვიტორიო დე სიკაზე).

დანიელ დარიესა და კაროლ ბუკეს გმირები, ფაქტურით, სრულიად განსხვავებულნი არიან, ასევე განსხვავებულნი არიან გენერლის პირველი შემსრულებელი - შარლ ბუაიე და ჟან-პიერ მარიელი. პირველი - რბილი და ლამაზი მამაკაცია, მეორე - ხისტი, მშრალი და მკაცრი. და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ მეორე შემსრულებელმა - ჟან-პიერ მარიელმა შექმნა გენერლის დაუვიწყარი და ზუსტი სახე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ კაროლ ბუკეს მადამ დე უფრო მეტად ავლენს ემოციებს - სიყვარულს, დეპრესიას, თავგანწირულობას და რაც მთავარია, აღიარებს (რომანის ტექსტის თანახმად) თავის მთავარ დანაშაულს - რომ თავს გრძნობს დამცირებულად და შეურაცხყოფილად, რისი მიზეზიც - ტყუილის თქმის მავნე ჩვევა იქცევა. სწორედ ამიტომაც, რომ მისი გრძნობების არ წამს მის შეყვარებულს, ხოლო მეუღლე კი, თავის მხრივ შეურაცხყოფილია. თუმცა ფინალში ვხედავთ დარდისგან სრულიად მოტეხილ მამაკაცს, რომელმაც სასიკვდილო სარეცელზე მყოფ ცოლს ცოდვები მიუტევა.

ამ ორივე კინოადაპტაციის კომპარატისტული კვლევის შედეგად გამოიკვეთა სხვაობა ექსპოზიციასა და კვანძის გახსნაში. მადამ დეს ყოველდღიური

5 Leprohon, Présences Contemporaines, 1957, p. 54-59.

6 Becker, Cahiers du Cinéma, № 32, février, 1951.

7 „Unifrance Film Informations“, № 25. 1953.

ცხოვრება ცარიელი და ზედაპირულია. მისმა გულმა გვიან გაიღვიძა - გვიან განიცადა ჭეშმარიტი სიყვარული, მაგრამ მოუშვადებელი აღმოჩნდა დრამისთვის და ვერ გაუმკლავდა ნამდვილ დიდ სიყვარულს.

სწორედ ამიტომ არის რომანის ნარატივის ძირითადი სიმბოლო - გულის ფორმის საყურეები და მათ გარშემო განვითარებული დრამატული ისტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Becker Jacques. «Cahiers du Cinéma», № 32, février 1951.
- Bothorel, Jean: Louise, ou la Vie de Louise de Vilmorin. Grasset, 1989.
- Gentou, Albertine: La Muse amusée. Le Manuscrit, 1998.
- Leprohon, Pierre. Présences Contemporaines Cinéma. Paris, 1957.
- Mauriès, Patrick: Louise de Vilmorin, un album. Le Promeneur, 2002.
- Ophüls, Max. Spiel im Dasein. Eine Rückblende. Alexander Verlag Berlin. 2015.
- Vilmorin, André de: Louise de Vilmorin. Seuil, 2000.
- Vilmorin, Louise de. Madame de. Roman. Deutsch von Patricia Klobusiczky. Dörlemann. 2011.
- Wagener, Françoise : Je suis née inconsolable. Louise de Vilmorin (1902–1969). Albin Michel, 2008.
- „Unifrance Film Informations“, № 25. 1953.

THE NOVEL „MADAME DE...“ BY LOUISE DE VILMORIN AND THE COMPARATIVE STUDY OF ITS TWO MOVIE-ADAPTATIONS

Manana Paitchadze

Keywords: *Louise de Vilmorin, Madame de... Max Ophüls, Jean-Daniel Verhaeghe*

French literature, apart from its generally acknowledged specificities, is also remarkable for having the majority of women authors in European literature. From the early Middle Ages to the present, one could name 100 women authors, writer Louise de Vilmorin among them.

The biography of Louise de Vilmorin (1902-1969) and her work are extremely interesting. The man of letters and Minister of Culture in Charles de Gaulle's government, André Malraux, with whom L. de Vilmorin was a close friend, advised her to write. Countess Louise Levêque de Vilmorin, or as she was also called by her friends, Loulou, belonged to the high old French nobility and was an important figure in French social life. She was the fiancée of Antoine de Saint-Exupéry, but later broke off the engagement. Married twice, mother of three daughters, from 1938 she lived at her family's estate, the Château de Vilmorin, hosting the elite of the artistic world in her "Salon bleu", including Jean Cocteau, Alain Cuny, Pierre Bergé, René Clair, Max Ophüls, Maria Callas, Françoise Sagan, André Malraux, Roland Petit, Zizi Jeanmaire, Coco Chanel, Orson Welles and many others.

Intelligent, beautiful, elegant, aesthete (in the truest sense of this word) - this is how one could briefly describe this wonderful lady.

Louise de Vilmorin is the author of novels, novellas, poems, reportages, essays, film scripts. Her epistolary art deserves special mention. Her correspondence with Jean Cocteau, André Malraux, the Mémoires of Coco Chanel, etc. has been published as individual books.

Francis Poulenc set several poems by L. de Vilmorin to music. L. de Vilmorin was the screenwriter of the films of

such directors as Jean Tourane, Louis Malle, Pierre Granier-Deferre, Orson Wells. As an actress, she appeared in two feature films: "Amelie ou le Temps d'aimer" (dir.: Michel Drach), France 1961; and "Teuf-teuf" (dir.: Georges Folgoas), France 1963.

Louise de Vilmorin's first novel "Sainte-Unefois" was published by Gallimard in Paris in 1934.

Her other works are worthy of mention:

"La Fin des Villavides". Paris: Gallimard, 1937.

"Le Lit à colonnes". Paris: Gallimard, 1941.

"Le retour d'Erica". Paris-Lausanne: Éditions Marquerrat, 1946.

"Julietta". Paris: Gallimard, 1951.

"Madame de". Paris: Gallimard, 1951.

"Les Belles Amours". Paris: Gallimard, 1954.

"Histoire d'aimer". Paris: Gallimard, 1955.

"La Lettre dans un taxi". Paris: Gallimard, 1958.

"Migraine". Paris: Gallimard, 1959.

"Le Violon de Crémone". Paris: Gallimard, 1960.

"L'Heure Maliciöse". Paris: Gallimard, 1967.

"Le Lutin sauvage". Paris: Gallimard, 1971.

In recent years, the interest in the literary and epistolary work of Louise de Vilmorin has arisen in Europe, and primarily in France, although no serious research has been done yet. The few that have are mentioned in the footnote¹:

Louise de Vilmorin's novel "Madame de..." is one of her best works. Published in 1951, this novel belongs to the author's period of artistic maturity. If we look at the work from the point of view of narratology, we can see that we are dealing here with an exquisite narrative style,

¹ Jean Bothorel: Louise, ou la Vie de Louise de Vilmorin. Grasset, 1989. ; Albertine Gentou: La Muse amusée. Le Manuscrit, 1998. ; André de Vilmorin: Louise de Vilmorin. Seuil, 2000. ; Patrick Mauriès: Louise de Vilmorin, un album. Le Promeneur, 2002. ; Françoise Wagener: Je suis née inconsolable. Louise de Vilmorin (1902-1969). Albin Michel, 2008.

with telling laconicism, with intertextual descriptiveness of the characters, with the technique of covering up inner monologues with the author's narrative....

The subject seems banal at first sight, but behind this apparent banality lies a great drama. Three main characters (without proper names)—a young beautiful coquettish aristocrat—Madame de..., her husband, well-known French general, and Madame de...'s lover, an ambassador well known in diplomatic circles. At first glance, a simple love triangle. The place and time of the action are not specified. Presumably, the epoch of the "fin de siècle" can be discerned from this.

The text begins with a kind of epigraph: "Throughout the ages, love gives immediate presence to the events it touches"². The keyword here is "love"; it is on the background of a complete lack of love that the whole subject of the novel unfolds. As soon as love appears, banal everyday life and interpersonal relationships become a drama that reaches the scale of a tragedy.

The novel begins with the author telling us about a distinguished beautiful and elegant lady of high Parisian aristocratic society. In doing so, her particular characteristic is emphasised: Madame de... got herself into great debt because of her recklessness, the reason being that she was embarrassed to tell her husband the true price of the items she was buying. She only mentioned half the cost that he had to pay. That is why the debts piled up. To get rid of the debt, she decided to sell one of her items. Her attention fell on the diamond earrings in the shape of hearts.

The scheme of the travel adventure of these earrings:

- The General buys the earrings from his jeweller to give them as a token of his love to his newly-wed wife Madame de... on the second day of the wedding (this old custom fell into oblivion in the 1930s);
- Madame de... sells her earrings to the same jeweller to pay off her debt, and asks him not to tell her husband. Soon after, she performs a scene at a ball as if she had lost her earrings. Word of this event gets around.
- When the jeweller learns of this scandal, he goes to the general and confesses the truth. The general is forced to buy the earrings again. But he does not return the earrings to his wife, but gives them to his mistress - a young Spanish woman as a farewell gift. The Spanish woman leaves Paris.
- She travels to South America, where she gambles away in a casino, and in order to return the lost money, she sells the earrings in a jewellery shop.
- No sooner were the earrings displayed in the shop window than an hour later they were bought by a young diplomat travelling to France, where he was employed at the embassy of his homeland.
- At the very first official reception, the diplomat meets Madame de... and a special feeling develops between them. Over time, this feeling deepens and develops into true love. As a sign of his love, the diplomat gives Madame de... the earrings he had bought in South America.
- Madame de... resorts to lying again and plays a scene for her husband, claiming that she found the earrings in the box of gloves.
- The general puts the pieces of the mosaic together and orders the diplomat to come to him, to whom he tells the story of these earrings. He asked the diplomat to take these earrings to his jeweller and offer them for sale. The diplomat obeyed. He lost all love and reverence for Madame de....
- The jeweller again turned to the general and the latter bought the earrings from him.
- The general showed Madame de... the earrings and forbade her to wear them. Even more, he forced Madame de... to give these earrings to his brother's sister-in-law, who gave birth to a son and thus the heir of the family.
- Madame de... is attacked by depression, she no longer goes out, lies in bed and burns like a candle. The general realises that she has become the victim of a true love.
- After a month, Madame de... received a visit from her sister-in-law, who told her about the family's financial difficulties and asked her to buy the earrings from her. Madame de... sent them to her jeweller.
- The jeweller bought the earrings and, after much deliberation, sold them again to the general.
- The general showed Madame de... the earrings and demanded that she wear them and show herself with

² Louise de Vilmorin. *Madame de. Roman.* Deutsch von Patricia Klobusicky. Dörlemann. 2011. p. 9.

them in company, but the woman refused. Physically weakened, at the end of her tether, she only asked that he leave her the earrings as a memento of her life.

- “Madame de... could not do without the object that embodied for her the spirit, substance and presence of her only true kisses.”³ The general, however, pursued only one aim, that the ambassador should see Madame de... be allowed to see her with that jewel which none but her husband was allowed to give her.
- After a month, Madame de... appeared with her husband at a reception, completely exhausted and weakened. appeared with her husband at a reception. Diamond hearts gleamed in her ears. The diplomat misunderstood her appearance and her smile. He thought that Madame de.. had decided to break up with him and that was why she smiled so condescendingly. In fact, however, the poor woman gathered her last strength to fulfil her husband’s request and see her beloved for the last time. When she returned home, she lay down in bed. She wrote a letter to the diplomat asking him to come to her so that she could explain everything to him. That night, in the cold and snow, she went to the diplomat’s house to give him the letter. For a long time she had to wait outside. No one opened the door. Then a servant took the letter from her and closed the door in front of her. The next day she struggled with death. The diplomat had come, but when the general brought him into the room, Madame de... rose in bed for the last time, groaning. rose for the last time in bed, groaned and fell back dead into bed. She passed away. Her palms opened and the earrings were seen, as if she wanted to give away the two hearts.
- The general ordered: “She is dead. Take the heart she gives you, the second one is hers; I’ll take care of it!”⁴

The novel is written in the style of a screenplay, without clichés, laconic. At the time, it was a novelty in European literature. But it was typical for American writers working in Hollywood (such as Francis Scott Fitzgerald and others). This style, the masterfully intricate subject, whose

plot smoothness is reminiscent of a long spiral staircase, inspired directors.

There are two film adaptations of Louise de Vilmorin’s novel “Madame de...”. In 1953, two years after its publication, director Max Ophüls made his emotional love adaptation “Madame de...” with a star cast of the time: Danielle Darrieux, Charles Boyer and Vittorio De Sica. The second film version was released in 2001, directed by Jean-Daniel Verhaeghe and featuring the brilliant trio of actors - Carole Bouquet, Jean-Pierre Marielle and Raoul Bova.

It should also be noted that the IMDb (Internet Movie Database) gives the 1953 film a score of 8.0, and the 2001 film version a score of 7.1.

Max Ophüls is one of the most important and distinctive representatives of French auteur filmmaking. François Truffaut said that a melancholic perception of the world is characteristic of Max Ophüls’ films, just as it was for René Clair - irony and for Henri-Georges Clouzot - brutality.

In the course of 25 years, Max Ophüls had made 26 feature films. All these films are united by the maître’s incomparable style. It was precisely this quality that the well-known French film critic Pierre Leprohon⁵ considered to be the strong point of director Ophüls. In the magazine “Cahiers du Cinéma” Jacques Becker⁶ wrote about Max Ophüls: “The critics do not forgive him for the success of “Reigen” (“La Ronde”)... The film’s “lightness” is due to its subject - the Reigen is a round dance after all, a carousel of love...” The incomparable adaptor of Stefan Zweig, Arthur Schnitzler, Guy de Maupassant - made the time and place of the action concrete. He gave each character a name - Luise, André, Fabrizio. Place of action: Paris, time of action: the 1880s.

Max Ophüls created a film novel with its own specific intonation and development of the plot line, which was so characteristic of the era of the “fin de siècle”. The waltz scenes, the scene of the duels, the scene in the carriage (which evokes an allusion to Leo Tolstoy’s novel “Anna Karenina”), wonderful costumes whose design belonged to the artists Georges Annenkov and Rosine Delamare (these artists were nominated for Oscars in 1955). Max Ophüls wrote the following about the main character of

3 Louise de Vilmorin. *Madame de*. Roman. Deutsch von Patricia Klobusicky. Dörlemann. 2011. p. 116.

4 Ibid, p. 124.

5 Pierre Leprohon. *Présences Contemporaines Cinéma*. Paris, 1957. p. 54-59.

6 «Cahiers du Cinéma», № 32, février 1951.

the film – Madame de... the following: “She is a woman in the truest sense of the word, her marriage was a convenience marriage, she is neither happy nor unhappy, but she lives in luxury, this life, however, lacks deep meaning, she hardly notices that she suffers because of it and from it, but she does not notice it, becomes depressed. Too late her heart awakens to true love, but she is not ready for it, she is not ready for a love adventure, because love means overcoming obstacles. Life, however, has not prepared Madame de ... for such challenges“.⁷

Jean-Daniel Verhaeghe is the director who primarily works on the adaptation of literary texts in film. Suffice it to mention the following films: “La Pere Goriot” with Charles Aznavour, “Eugenie Grandet”, “La Duchesse de Langeais” based on the works of the same name by Honore de Balzac, “Le Rouge et le Noir” based on Stendal, “Les Thibault” based on the work of Roger Martin du Gard, among others.

Almost half a century after the first brilliant film version of “Madame de...”, Jean-Daniel Verhaeghe creates his new version of this work. Starring Carole Bouquet, Jean-Pierre Marielle and Raoul Bova.

The director set the time and place of the action – he moves the action to 1932, the place is Paris and Vichy. He again had the characters play without proper names, only giving the diplomat the name Vittorio (a kind of allusion both to the victorious hero and to Vittorio de Sica – the first

actor to play this role).

The heroines of Danielle Darrieux and Carole Bouquet are totally different by their feature. Also different are the first actor of General Charles Boyer and Jean-Pierre Marielle. The first is outwardly mild and beautiful, the second cold, dry and severe. It may sound astonishing, but it is this actor, Jean-Pierre Marielle, who has portrayed the character of his literary hero most accurately and convincingly. It is to his credit that Madame de ... allows Carol Bouquet to show more emotions—love, depression, selflessness, sacrifice, and most importantly, she confesses her greatest fault (according to the text of the novel)—that she feels humiliated and insulted, the reason being her nasty habit of lying to her husband. Precisely because of this, her lover does not believe in the genuineness of her feelings. The husband, for his part, feels humiliated, although at the end he sees before us a completely ruined old man who absolves his wife at her deathbed for all her debts.

The comparative study of these two film versions highlights major differences in exposition and climax and conflict resolution. Madame de’s everyday life is empty and superficial. Her heart felt the emotion of great true love too late—she proved unprepared for the drama and cannot cope with true love. That is why the diamond earrings in the shape of a heart are the most important symbol for the novel’s narrative and for the drama that takes place around them.

REFERENCES:

- Bothorel, Jean: Louise, ou la Vie de Louise de Vilmorin. Grasset, 1989.
- Gentou, Albertine: La Muse amusée. Le Manuscrit, 1998.
- Vilmorin, André de: Louise de Vilmorin. Seuil, 2000.
- Mauriès, Patrick: Louise de Vilmorin, un album. Le Promeneur, 2002.
- Wagener, Françoise : Je suis née inconsolable. Louise de Vilmorin (1902–1969). Albin Michel, 2008.
- Vilmorin, Louise de. Madame de. Roman. Deutsch von Patricia Klobusicky. Dörlemann. 2011.
- Leprohon, Pierre. Présences Contemporaines Cinéma. Paris, 1957.
- «Cahiers du Cinéma», № 32, février 1951.
- „Unifrance Film Informations“, № 25. 1953.
- Ophüls, Max. Spiel im Dasein. Eine Rückblende. Alexander Verlag Berlin. 2015.

⁷ „Unifrance Film Informations“, № 25. 1953.